საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1423 2015 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი

„ქ. ზესტაფონის ტერიტორიაზე (რუსთაველის ქუჩა) სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის მოთხოვნების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №293 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „ქ. ზესტაფონის ტერიტორიაზე (რუსთაველის ქუჩა) სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის მოთხოვნების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №293 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტისა და „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების

თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის (სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების) მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის დადგინდეს შემდეგი მოთხოვნები:

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) ლიცენზიის მოქმედების ვადის გასვლამდე განახორციელოს სალიცენზიო ობიექტის კონტურში არსებული საავტომობილო გზის მონაკვეთის (რუსთაველის ქუჩა) რეაბილიტაცია – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა;

ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განახორციელოს ოთხ ეტაპად, თანდართული ტოპოგრაფიული რუკის (დანართი №1) მიხედვით, უბნების რიგითობის შესაბამისად. სალიცენზიო ობიექტის მე-4 უბანი დამუშავდეს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში. თუ მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას – პირველი, მე-2 ან მე-3 უბნის დამუშავების დროს მოხდება მე-4 უბნით გათვალისწინებულ ფართობზე მიწის საფარის დაზიანება (ჩანგრევა/ჩავარდნა), ან ადგილი ექნება მსგავსი საფრთხის შემცველ გარემოებებს, ლიცენზიანტი ჯერ უზრუნველყოფს ხსენებული უბნის დამუშავებას;

გ) მხოლოდ წინა ეტაპის (დანართი №1-ით გათვალისწინებული შესაბამისი უბანი) დასრულების შემდეგ (მოპოვება, მოპოვების შემდეგ გაჩენილი ქვაბულის სრულად ამოვსება, მიწის ზედაპირის მოსწორება), რაც დადასტურდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის

შესაბამისი უფლებამოსილი პირების ერთობლივი აქტით, განახორციელოს შემდეგი ეტაპის დაწყება;

დ) სალიცენზიო ობიექტის დამუშავებისას გაითვალისწინოს სალიცენზიო ობიექტის კონტურში არსებული გზის მონაკვეთის მიმდებარედ განლაგებული კერძო ობიექტების მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა ინტერესები. ქონებით სარგებლობის შეუძლებლობის ან/და ზიანის მიყენების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურება ან კომპენსაციის გაცემა განახორციელოს მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე ლიცენზიის მფლობელმა ზესტაფონის მუნიციპალიტეტს შეუთანხმოს სალიცენზიო ობიექტის კონტურში არსებული გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომელზეც გაცემული იქნება სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნა; აღნიშნული შეთანხმების თაობაზე ინფორმაცია წარუდგინოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს;

ვ) მომზადებული წიაღითსარგებლობის პროექტი განსახილველად წარუდგინოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, ხოლო რეკულტივაციის პროექტი შეათანხმოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;

ზ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდგომ, ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე, გზის რეაბილიტაციის პროექტის (ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად) ღირებულებისა და რეკულტივაციის პროექტის ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტს წარუდგინოს პროექტების იდენტური თანხის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია. მუნიციპალიტეტში საბანკო

გარანტიის წარდგენის შემდგომ ინფორმაცია აღნიშნული ვალდებულების შესრულების თაობაზე წარუდგინოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს;

თ) ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოები ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდგომ. ერთ-ერთი პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებ;

ი) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოების დაწყებისა და დასრულების ვადები შეათანხმოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან და აღნიშნული ვადების თაობაზე შეთანხმების შემდგომ აცნობოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს;

კ) უზრუნველყოს სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების გატანა თანდართული სქემის (დანართი №2) მიხედვით;

ლ) სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით;

მ) სალიცენზიო ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოების დასრულების შემდგომ უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კონტურში არსებული გზის საფარის დაგება, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით შეთანხმებული პროექტის შესაბამისად;

ნ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს წარუდგინოს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომელიც დაადასტურებს საავტომობილო გზის მონაკვეთის (რუსთაველის

ქუჩა) რეაბილიტაციას - პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სამუშაოების შესაბამისობას გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის შეთანხმებულ პროექტთან.

2. ქ. ზესტაფონში (რუსთაველის ქუჩა) სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების მოპოვების მიზნით გამოცხადებული აუქციონის საწყისი ფასი განისაზღვროს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

1:2 000
მასშტაბის

ლიცენზიის № ———



ქ. ზესტაფონში რუსთაველის ქუჩაზე
სასარგებლო წიაღისეულით
სარგებლობის ობიექტის უბნები

№	X	Y
I უბანი		
1	336329,960	4663286,065
2	336351,116	4663306,402
3	336392,898	4663280,062
4	336490,784	4663228,161
5	336480,319	4663209,091
6	336414,505	4663245,210
7	336407,120	4663232,835
8	336403,550	4663234,635
9	336398,855	4663233,635
10	336395,904	4663235,455
11	336398,080	4663238,855
12	336405,400	4663250,295
13	336392,180	4663258,595
14	336390,855	4663256,725
15	336388,490	4663258,225
16	336384,795	4663252,440
17	336387,155	4663250,900
18	336382,703	4663243,596
19	336370,395	4663251,185
20	336374,385	4663257,325
21	336359,935	4663268,105
22	336350,750	4663269,625
S = 0,42 ჰა		
II უბანი		
23	336351,116	4663306,402
24	336329,960	4663286,065
25	336324,180	4663292,250
26	336271,322	4663330,712
27	336266,940	4663325,050
28	336257,750	4663312,275
29	336243,850	4663328,452
30	336248,699	4663331,082
31	336238,035	4663351,692
32	336231,670	4663348,625
33	336229,795	4663353,375
34	336226,510	4663350,600
35	336223,510	4663353,990
36	336228,995	4663359,205
37	336224,970	4663363,790
38	336223,060	4663362,025
39	336202,336	4663383,053
40	336213,289	4663397,007
41	336230,974	4663383,391
42	336305,665	4663335,055
S = 0,43 ჰა		

№	X	Y
III უბანი		
43	336213,289	4663397,007
44	336202,336	4663383,053
45	336194,151	4663376,220
46	336189,100	4663388,395
47	336187,985	4663390,225
48	336184,315	4663395,295
49	336178,770	4663405,430
50	336175,985	4663403,970
51	336157,314	4663445,082
52	336149,020	4663464,122
53	336147,380	4663467,025
54	336147,885	4663467,445
55	336149,205	4663468,350
56	336148,300	4663469,680
57	336146,980	4663468,770
58	336146,565	4663468,455
59	336138,628	4663482,452
60	336135,375	4663485,130
61	336135,850	4663493,115
62	336144,155	4663488,235
63	336177,633	4663495,192
64	336178,734	4663475,816
65	336181,209	4663461,742
66	336190,298	4663430,050
67	336201,749	4663410,209
S = 0,32 ჰა		
IV უბანი		
68	336177,633	4663495,192
69	336144,155	4663488,235
70	336135,850	4663493,115
71	336135,375	4663485,130
72	336124,288	4663488,413
73	336107,939	4663491,400
74	336150,882	4663527,941
75	336176,431	4663516,351
S = 0,16 ჰა		
მთლიანი ფართობი 1,34 ჰა		
WGS 1984		

სალიცენზიო-ტერიტორიის მტკიცებული მოპოვების სქემატური ნახაზი

დანართი 2

გაბარნის სქემა